

კონფერენციის შრომები

„მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიები საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით“

თამარ ავალიანი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული
ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

საკვანძო სიტყვები: სასამართლო, დამოუკიდებლობა, რეფორმა

შესავალი

სასამართლოს, ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობა სამართლიანი, ეფექტური და ხარისხიანი მართლმსაჯულების უმთავრესი გარანტიაა, რომლის განმტკიცებაც საკონსტიტუციო და სასამართლო რეფორმების უმთავრეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს. სასამართლოსთან დაკავშირებული ხარვეზიანი კანონმდებლობა საფრთხეს უქმნის სამართლიანი სასამართლოს იდეას და საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემისადმი. სასამართლოს ლეგიტიმაცია საზოგადოების მხრიდან ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის აღქმას ეფუძნება.

2017 წლის კონსტიტუციური რეფორმის ფარგლებში, საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე თავში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის განმტკიცებას ემსახურება: დაიხვეწა სასამართლოს უფლებამოსილებების დამდგენი ნორმები; იუსტიციის საბჭოს მიენიჭა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენის უფლებამოსილება; განისაზღვრა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მინიმალური რაოდენობა (არანაკლებ 28 მოსამართლე); დადგინდა მოსამართლეთა შეუცვლელი პრინციპი, რაც ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის ფუნდამენტური გარანტიაა; სასამართლოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია არ შეიძლება მოსამართლის გათავისუფლების საფუძველი გახდეს; გამკაცრდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა განწესებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების წესი; მკაფიოდ განისაზღვრა იუსტიციის

კონფერენციის შრომები

უმალესი საბჭოს შემადგენლობა; შემოვიდა მოსამართლეთა კონფერენციის წინაშე საბჭოს ანგარიშვალდებულების პრინციპი და სხვა.

მიუხედავად საქართველოს კონსტიტუციის სასამართლო ხელისუფლების თავში განხორციელებული დადებითი ცვლილებებისა, კანონმდებლობა საჭიროებს შემდგომ გაჯანსაღებას სასამართლოსა და მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტირების კუთხით.

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში მოსამართლის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით კონსტიტუციური გარანტიები, საკანონმდებლო ხარვეზები და დადებითი მხარეები. ასევე, ნაშრომში წარმოდგენილია მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტები და სხვადასხვა წარმატებული ქვეყნების გამოცდილება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის წარმოჩენის მიზნით. საკონფერენციო ნაშრომი მოიცავს მოსამართლის დამოუკიდებლობის განმტკიცების შესახებ მოსაზრებებს, რომელიც de lege ferenda მეთოდოლოგიის გამოყენებით, საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე იქნება დაფუძნებული.

კვლევისას გამოყენებულია შინაარსის კონვენციური თვისებრივი ანალიზის მეთოდი. აღნიშნული მეთოდოლოგია გამოიყენება სამართლებრივ აქტებში მოცემული ინფორმაციის გასაანალიზებლად.

1. სასამართლო სისტემის კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგლამენტაცია

„სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური ლეგიტიმაციის აშენება გაცილებით რთული პროცესია, რადგან ის ფორმალურად და ხარისხობრივად განსხვავდება ხელისუფლების პოლიტიკური შტოების ლეგიტიმაციისგან. სასამართლოს ლეგიტიმაცია დგას ნამდვილი ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის აღქმაზე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სასამართლოს ლეგიტიმაციის აშენება ხანგრძლივი პროცესია, რადგან ემყარება მის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილებების გამოტანასა და ხალხის აღქმას სასამართლოს სამართლისადმი ერთგულების შესახებ“¹.

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის 59-ე მუხლი მკაფიოდ გასაზღვრავს სასამართლო ხელისუფლების სუბიექტებს, რომელთა თანახმადაც, სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოები ახორციელებენ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს მართლმსაჯულების განხორციელებას საერთო სასამართლოების მიერ, ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმის განხილვას და კრძალავს სპეციალიზებული სასამართლო-

1 Zedelashvili D., 2017 Constitutional Reform in Georgia: another misguided quest or genuine opportunity? <http://constitutionnet.org/news/2017-constitutional-reform-georgia-another-misguided-quest-or-genuine-opportunity>

კონფერენციის შრომები

ების, მათ შორის სამხედრო სასამართლოების შექმნას საერთო სასამართლოების სისტემის გარეთ. ეს დებულებები მკაფიოა და, შესაძლოა, არ საჭიროებდეს შემდეგ დახვეწას. თუმცა, სასამართლოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის სათანადო რეგლამენტაციისა და მისი მნიშვნელობის კიდევ უფრო მეტად ხაზგასმითვის, საინტერესოა სხვადასხვა საერთაშორისო მოდელის გათვალისწინება, რომლებიც კიდევ უფრო ცხადად განმარტავენ სასამართლო ხელისუფლების წყაროს უფლებამოსილებას და პასუხისმგებლობას სასამართლო დამოუკიდებლობაზე.

სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილების წყაროს შესახებ, საინტერესოა სამხრეთ აფრიკის კონსტიტუციის 165-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ სასამართლო ხელისუფლება სასამართლოებს ეკუთვნის². კენიის კონსტიტუციის 159-ე მუხლის მიხედვით, მართლმსაჯულების უფლებამოსილება მიღებულია ხალხისგან და ეკუთვნის სასამართლოებს და კონსტიტუციის შესაბამისად შექმნილ ტრიბუნალებს, რომლებიც მათ მიერ ხორციელდება³.

2. სასამართლოს დამოუკიდებლობის პალდებულების შესახებ

სასამართლოსა და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობა სამართლიანი, ეფექტური და ხარისხიანი მართლმსაჯულების უმთავრესი გარანტიაა, რომლის განმტკიცებაც მიმდინარე და სამომავლო რეფორმების უპირველეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს. სასამართლო სისტემაში დღეს არსებული კრიზისი და ხარვეზიანი კანონმდებლობა საფრთხეს უქმნის სამართლიანი სასამართლოს იდეას საქართველოში და მართლმსაჯულების მაძიებელი პირის კონსტიტუციურ უფლებას, მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა, მიუკერძოებელმა და კომპეტენტურმა მოსამართლემ⁴.

სასამართლოს დამოუკიდებლობის ვალდებულება განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი ნაწილში, რომელიც, უმჯობესია, მეტი სიცხადისთვის გაწერილ ყოფილიყო ცალკე მუხლში მოსამართლეების შესახებ, მაგრამ სასამართლოსთან, როგორც ხელისუფლების ერთ-ერთ შტოსთან კავშირში - ფუნქციების გაყოფის ზოგადი ხაზგასმით. ამ კუთხით, საინტერესო იქნებოდა სამხრეთ აფრიკისა და კენიის კონსტიტუციური გამოცდილების გაზიარება. სამხრეთ აფრიკის კონსტიტუციის 165-ე მუხლის თანახმად:

2 Constitution of the Republic of South Africa, article 165, https://www.gov.za/sites/default/files/gcis_document/201409/act108of1996s.pdf

3 Constitution of Kenya, article 159, <http://www.kenyalaw.org:8181/exist/kenyalex/actview.xql?actid=-Const2010>

4 მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, 2014, 6, http://coalition.ge/index.php?article_id=58&clang=0

კონფერენციის შრომები

- სასამართლოები დამოუკიდებელია და ექვემდებარება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონმდებლობას, რომელიც მათ მიერ გამოყენებულ უნდა იქნეს მიუკერძოებლად და ყოველგვარი შიშის, უპირატესობის, მიკერძოების ან ცრურწმენის გარეშე
- არცერთ პირს ან სახელმწიფო ორგანოს არ შეუძლია ჩარევა სასამართლოების ფუნქციონირებაში
- სახელმწიფო ორგანოები საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებების საშუალებით, დახმარებას უნდა უწევდნენ და იცავდნენ სასამართლოებს და უზრუნველყოფდნენ სასამართლოების დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას, ღირსებას, ხელმისაწვდომობას და ეფექტიანობას
- სასამართლოს მიერ გამოცემული ბრძანება ან გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველა პირისთვის და სახელმწიფო ორგანოსთვის, რომელსაც ის ეხება.

კენიის კონსტიტუციის 160-ე მუხლი გარანტირებს, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისას, სასამართლო ხელმძღვანელობს კონსტიტუციით და კანონმდებლობით და არ ექვემდებარება კონტროლს ან მითითებებს ნებისმიერი პირის ან ორგანოს მხრიდან.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენის წესი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების წარდგენის პროცესში აღარ მონაწილეობს საქართველოს პრეზიდენტი. მის ნაცვლად, მოსამართლეების კანდიდატურებს საქართველოს პარლამენტს წარუდგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონაწილეობა თანხვედრაშია ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან⁵, თუმცა ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ეს ცვლილება განხორციელდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გაჭანსაღების პარალელურად. ამგვარი მნიშვნელოვანი უფლებამოსილების გადაცემა კიდევ უფრო აქტუალურს ხდის იუსტიციის საბჭოს საქმიანობის რეფორმირების საკითხს. მნიშვნელოვანია, რომ დაიხვეწოს იუსტიციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესები და, ასევე, საბჭოს წევრების არჩევის პროცედურა⁶.

5 EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), CDL-AD (2018)005, Opinion 918/2018.
 6 საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტით შემოთავაზებული სიახლეების შეფასება, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2017, 5.

კონფერენციის შრომები

4. მოსამართლეთა შეუსვლელობა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინიციატივით, რომელიც სხვა წევრებმაც გაიზიარეს, საქართველოს კონსტიტუციაში აისახა მითითება მოსამართლეთა შეუსვლელობის პრინციპზე, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს. ასევე მიეთითა, რომ სასამართლოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია არ შეიძლება გახდეს უვადოდ განწესებული მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.

დასკვნა

გაზიარებულ უნდა იქნას შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ „სასამართლო ხელისუფლების თავში განხორციელებული რამდენიმე მნიშვნელოვანი და პოზიტიური ცვლილების მიუხედავად, კონსტიტუციური რეფორმა სასამართლოს ნაწილში მოითხოვდა დამატებით მომზადებას და მსჯელობას. მათ შორის, იმ რეფორმების და მათი შედეგების გაანალიზებას, რაც ბოლო წლებში მართლმსაჯულების სისტემაში განხორციელდა. ასევე, რეფორმა მიმართული უნდა ყოფილიყო იმ კრიზისების დაძლევისკენ, რაც შექმნილია საბჭოს ხელში კონცენტრირებული დაუბალანსებელი ძალაუფლებით, არაფორმალურად პროცედურებითა და გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკით, რაც დომინანტურ ჯგუფებს აძლევს შესაძლებლობას, გავლენა იქონიონ სასამართლოში მოვლენების განვითარებაზე და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე“⁷.

7 კონსტიტუციური ცვლილებების პროექტის შეფასება, EMC, 2017, <https://emc.org.ge/ka/products/emc-assesses-the-work-of-the-constitutional-commission-and-the-project-of-constitutional-changes-5>

კონფერენციის შრომები

თამარ ავალიანი

GUARANTEES OF THE INDEPENDENCE OF THE JUDGE ACCORDING TO THE NEW EDITION OF THE GEORGIAN CONSTITUTION

Tamar Avaliani

*Affiliated associate professor of the Caucasus
International University, PhD in Law*

KEY WORDS: Court, Independence, Reform

RESUME

Institutional legitimacy of the judiciary is formally and qualitatively distinct from the legitimacy of political branches and it is considerably more difficult to establish. Judicial legitimacy is built upon the actual and perceived institutional independence and impartiality, and more importantly, through a long process of giving reasoned decisions, as well as, cultivating a public perception of judicial fidelity to law .

During the 2017 Constitutional Reform significant amendments have been made to the Constitution of Georgia with regard to strengthening independence of judicial system. Despite of the positive amendments, Georgian legislation needs improvements in the direction of independence of the court and individual judges. The report analysis constitutional guarantees of the judge and the total judicial system, its legislative deficiencies and advantages. The report envisages analysis of the best practice and successful international experience regarding independence of the judiciary. The analysis is based on the following methodology - de lege ferenda and the international experience.

NOTES:

1. Zedelashvili D., 2017 Constitutional Reform in Georgia: another misguided quest or genuine opportunity?<http://constitutionnet.org/news/2017-constitutional-reform-georgia-another-misguided-quest-or-genuine-opportunity> (In English)

კონფერენციის შრომები

2. Constitution of the Republic of South Africa, article 165, https://www.gov.za/sites/default/files/gcis_document/201409/act108of1996s.pdf (In English)
3. Constitution of Kenya, article 159, <http://www.kenyalaw.org:8181/exist/kenyalex/actview.xql?actid=Const2010> (In English)
4. The Analysis of the responsibility system of judges, 2014, 6, http://coalition.ge/index.php?article_id=58&clang=0 (In Georgian)
5. EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), CDL-AD(2018)005, Opinion 918/2018 (In English)
6. The Evaluation of the new constitutional amendments, Institute for Development of Freedom of Information (IDFI), 2017, 5 (In Georgian);
7. The Evaluation of the Draft Constitutional Law, EMC, 2017, <https://emc.org.ge/ka/products/emc-assesses-the-work-of-the-constitutional-commission-and-the-project-of-constitutional-changes-5> (In Georgian)

BIBLIOGRAPHY:

1. Constitution of the Republic of South Africa, article 165, https://www.gov.za/sites/default/files/gcis_document/201409/act108of1996s.pdf (In English)
2. Constitution of Kenya, article 159, <http://www.kenyalaw.org:8181/exist/kenyalex/actview.xql?actid=Const2010> (In English)